საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-371

01/05/2019

ქ. თბილისი

“მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „შან ჰიდროს“ მდ. ლაჰლაჭალასა და მის შენაკადზე 13 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ლაჰლაჭალა ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ”

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, “მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „შან ჰიდროს“ მდ. ლაჰლაჭალასა და მის შენაკადზე 13 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ლაჰლაჭალა ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N37 (29.03.2019წ.);
2. შპს „შან ჰიდრომ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N37 (29.03.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „შან ჰიდროს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „შან ჰიდროს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი